

03/09/2024



MES 0 24 0001056331

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი (კორექტირებული)**

ქალაქი თბილისი

სხდომის დაწყების დრო: 15:00 საათი

დასრულების დრო: 16:12 საათი

სხდომის თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი

საბჭოს მდივანი: დავით ლემკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 19 აგვისტოს**.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **დავით ლემკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
2. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
3. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
4. **ლევან მილოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
6. **ქრისტინა რზგოვეა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ემილ ავდალიანი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

12. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
13. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.
2. **სოფიკო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

1. ნათია ქაჯაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. ნიკა დუდაშვილი - რექტორის მოადგილე
3. ლია ჭილაშვილი - რექტორის მოადგილე
4. თეა ცაავა - ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი
5. ნონა გელიტაშვილი - ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი
6. ილონა საყვარელიძე - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი
7. ნინო აბაიშვილი - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი

1. გიორგი ცხვედიანი - ვიცე-რექტორი
2. ლეილა ახვლედიანი- მედიცინის და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დეკანი
3. ანი ქვათაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. ია ნაცვლიშვილი (თავმჯდომარე) **I საკითხი;**
2. ია მოსაშვილი (წევრი) **I საკითხი;**
3. თამარ გოდერიძე (წევრი) **I საკითხი;**
4. დავით ტეფნაძე (წევრი) **I საკითხი;**
5. ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე) **II საკითხი;**
6. ეკა გეგეშიძე (წევრი) **II საკითხი;**
7. ლანა ბოკუჩავა (წევრი) **II საკითხი;**

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნიდან გამომდინარე სხდომას უხელმძღვანელა დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობით განსაზღვრულმა წევრმა - თამარ იოსელიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დღის წესრიგი დამტკიცდა წარდგენილი სახით.

პირველი საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით ტეფნაძემ, გამოაცხადა თვითაცილება. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა არაგეგმიური მონიტორინგის მიმდინარეობისას მის მიერ ისეთი პოზიციის დაკავება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუთავსებელია ავტორიზაციის ექსპერტის საქმიანობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი, ია ნაცვლიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისობა ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან. მისი თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2024 წლის 1 და 2 აპრილს. შეფასების პროცესი განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის, ასევე, ექსპერტთა მხრიდან დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალურად დაათვალიერა დაწესებულების შენობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე, დაწესებულებასთან აფილირებული ორი სტომატოლოგიური კლინიკა. ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად 7.2 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია დასკვნიდან ამოიღეს. ეს ეხებოდა დაწესებულების ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის განთავსებას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე, რაც აღმოფხვრილ იქნა. ასევე, უნივერსიტეტი არგუმენტირებულ პოზიციას იყენებდა რეკომენდაციების შესასრულებლად გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა მათი ასახვა ვერ მოხერხდა დასკვნაში, რადგან ცვლილებები განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ. პირველ სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს სამოქმედო გეგმების ყოველწლიური ანგარიშების მომზადებაზე. მეორე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა განახლდეს და ორგანიზაციული სტრუქტურის ის სქემა, რომელიც არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, უნდა მოვიდეს შესაბამისობაში რეალურ ფაქტობრივ ვითარებასთან. ასევე, დაწესებულებამ მუდმივად და დროულად უნდა განაახლოს შესაბამისი ინფორმაცია მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზებში, რადგან გარკვეული შეუსაბამობები გამოიკვეთა ვიზიტის დროს. გარდა ამისა, სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კონტინგენტი. მან აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტში სხვა სტანდარტებისაგან განსხვავებით მოცემული იყო ბევრი რეკომენდაცია. მისი თქმით, აუცილებელია სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სწავლა-სწავლების მეთოდებში პერსონალის გადამზადება. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში უნდა განახლდეს ლიტერატურა. გარდა ამისა, უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა ენის ცოდნის დონე უნდა იყოს უფრო მაღალი. ასევე, რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებში - სტომატოლოგიურ კლინიკებში უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოების ზომები. მეოთხე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პერსონალის და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით უნდა მოხდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება. ასევე, დაწესებულებამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზზე. მეხუთე სტანდარტში მოცემული რეკომენდაციები ეხებოდა სტუდენტების მიერ მიღებული შეფასებების დროულად ასახვას საინფორმაციო პლატფორმაზე. ასევე, უცხოენოვან პროგრამებზე მიღებისთვის საჭირო ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ტესტების მოდიფიცირებას იმდაგვარად, რომ მოხდეს როგორც წერითი, ისე მოსმენისა და საუბრის კომპეტენციის შემოწმება. გარდა ამისა, სტატუსშეჩერებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ ინფორმაცია სათანადო წესით გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს. მეექვსე სტანდარტში მოცემული რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა. ასევე, უნდა გაიზარდოს კონფერენციებისა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და სათანადო დონეზე ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი

ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი. მეშვიდე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდებულია სტომატოლოგიის პროგრამებისათვის პრაქტიკის ობიექტების, ასევე კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის აღჭურვილობით და სახარჯი მასალებით, სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად. ასევე, რეკომენდებულია ხელშეკრულებების/მემორანდუმების განახლება კლინიკებთან, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტი და წარმოადგინოს დასკვნები შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებებით.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, ექსპერტთა ჯგუფს მეშვიდე სტანდარტში, ფინანსურ რესურსებთან მიმართებით, გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაუსვა კითხვა, უნივერსიტეტმა წარადგინა თუ არა რაიმე ფინანსური დასკვნა. ია მოსაშვილმა განმარტა, რომ დინამიკის დასანახად ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან გამოითხოვა დასკვნები, მაგრამ უნივერსიტეტმა წარმოადგინა მხოლოდ 2022 წლის ფინანსური დასკვნა და ამგვარად, მათ მოახერხეს მხოლოდ აღნიშნულის შესწავლა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ლია ჭილაშვილი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ გარე შეფასების პროცესს მოაქვს დაწესებულებისთვის დადებითი შედეგი. უნივერსიტეტი ყოველთვის ითვალისწინებს იმ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლებიც გაცემულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციისა თუ აკრედიტაციის პროცესში. ნათია ქაჯაიამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ გაცემულ "ნაწილობრივად შესრულებულ" შეფასებებზე, რომლებიც გაიცა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. შენიშვნები ეხებოდა პრაქტიკისა კომპონენტსა და პერსონალის გადამზადების საკითხს. მისი თქმით, დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის მიერ, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ავალდებულებს შესაბამისობაში მოიყვანოს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, უნივერსიტეტს შესაბამისობაში მოყვანის ვადა ნოემბრის თვემდე გააჩნია. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. გაუმჯობესდა პერსონალის და მატერიალური რესურსის ნაწილი, თუმცა ეს გაუმჯობესება არ იყო საკმარისი.

სასწავლო წლის დასაწყისისთვის დასრულდება ძირითადი მატერიალურ ბაზის მოწყობა, ხოლო პერსონალის გადამზადების საკითხი დაწესებულებაში აპრილის თვეში განხორციელებული ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ამის ასახვა მოხერხდა მხოლოდ არგუმენტირებულ პოზიციაში და აღინიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება ამის შემდეგაც გაგრძელდა.

უნივერსიტეტმა მემორანდუმები გააფორმა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან, კერძოდ, წეროვანის მუნიციპალიტეტის დევნილთა დასახლებაში სამ სტომატოლოგიურ კლინიკასთან, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით არის აღჭურვილი. უნივერსიტეტი უწევს მოსახლეობას როგორც სამართლებრივ კონსულტაციას, ისე დახმარებას იურიდიული კლინიკის ფარგლებში. ამ მიმართულებით მემორანდუმი აქვს დაწესებულებას გაფორმებული ახალგორის მუნიციპალიტეტთან. ახლა უკვე სტომატოლოგიის კლინიკის ფარგლებში უნივერსიტეტი გეგმავს, რომ დევნილისა და სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ადამიანებს გაუწიოს სამედიცინო დახმარება. მატერიალური ტექნიკური ბაზის, სახარჯო მასალებისა და მულაჟების ნაწილი უკვე შეძენილია და უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს

გაუზიარა შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულებები არგუმენტირებულ პოზიციაში დანართის სახით. ასევე, ვინაიდან "OSCE"-ს სტრუქტურული გამოცდა მოითხოვს თითოეული სტუდენტის მუშაობის ვიდეო-ჩაწერას, კლინიკაში მოხდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემისა და თანამედროვე სტანდარტების სტომატოლოგიური სავარძლების მონტაჟი.

პერსონალის გადამზადებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ გაფორმდა მემორანდუმი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელსაც აქვს უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრი და ჰყავს საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციის ცენტრის ექსპერტები. სწავლებისა და შეფასების მეთოდებში მოხდა პერსონალის გადამზადება. ორჯერ ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი. „OSCE-ის“ გამოცდასთან და კიდევ სხვა სამედიცინო მეთოდოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებით მოხდა პერსონალის რეგისტრაცია შესაბამის ტრენინგებზე, თუმცა ზაფხულისა და გაზაფხულის განმავლობაში ვერ მოხერხდა აღნიშნული ტრენინგების გავლა ჯგუფების გადატვირთულობის გამო. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ელექტრონულ პორტალზე, ფინანსური და ანგარიშგების საიტზე, ყოველწლიურად იტვირთება დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგება. ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით კანონით გათვალისწინებული ვადები არსებობს და ამ ვადების დაცვით დაწესებულების ფინანსური ანგარიშგება აიტვირთება ოქტომბრის თვეში.

სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების შესახებ ინფორმაციას კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში აწვდის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ამისთვის შექმნილია სპეციალური პორტალი, სადაც შესაბამისი მონაცემები შეიყვანება, თუმცა ექსპერტთა შენიშვნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა ფაქტი, როცა დაწესებულებამ სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაუგზავნა მეილით, რასაც მოყვა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება და დაკორექტირდა დოკუმენტაცია.

სტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია უნივერსიტეტში ჩატარდა ორი წლის წინ და რექტორის მოადგილის სამტატო ერთეულები სახელმეკრულებო ურთიერთობით დარეგულირდა. შესაბამისად, ის შეუსაბამობა, რაც ორონოგრამაში სტრუქტურის შესახებ რექტორის მოადგილის პოზიციებს ეხებოდა, მხოლოდ ამან გამოიწვია. რექტორის მოადგილემ, ნიკა დუდაშვილმა განავრცო დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის სამდონიანი სტრუქტურა. პირველი დონეს წარმოადგენს დამფუძნებელი, რექტორი და აკადემიური საბჭო. მეორე დონეა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახურის უფროსი, ხოლო მესამე დონეა ფაკულტეტი, კანცელარია, არქივი, სამედიცინო სერვისი და ა.შ. უნივერსიტეტის დებულება პირდაპირ განსაზღვრავს, რომ საჭიროების შემთხვევაში რექტორი საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების მიზნით ბრძანების საფუძველზე ნიშნავს მოადგილეს, რასაც ბრძანებით ადასტურებს რექტორი და ეს არ არის ასახული დებულებაში. მისი თქმით, უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიურ პერსონალთა დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა მასში მოცემული არ იყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ასპექტები. ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მოხდა აღნიშნული დოკუმენტის მოდიფიცირება და დაემატა ხსენებული ასპექტები. ამასთანავე, შესწორდა ტექნიკური ხარვეზი პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით. ნიკა დუდაშვილმა დააზუსტა, რომ დასკვნაში არსებული რეკომენდაცია უსაფრთხოების სპეციალისტის შესახებ ეხებოდა არა უნივერსიტეტს, არამედ სტომატოლოგიურ კლინიკებს. ნათია ქაჯაიამ პრაქტიკის კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პრაქტიკის საათები კლინიკურ საგნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამრიგად, გარდამავალ პერიოდში ახალი სასწავლო წლის წარმატებით დასაწყებად დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისობაში მოყვანის საკითხი დაწესებულების მხრიდან მაქსიმალურად იქნა გამოყენებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

გაიანე სიმონიამ დაადასტურა, რომ მის დაწესებულებაში ფუნქციონირებს "სამეცნიერო განათლების საერთაშორისო ცენტრი" და "აკადემიური განვითარების ცენტრი", სადაც რეგულარულად ტარდება ტრენინგები და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ რეგისტრაციის გავლის მიუხედავად, გარკვეული შიდა გარემოებების გამო ვერ მოხერხდა ამ ტრენინგების განხორციელება. ასევე, აღნიშნა, რომ "OSCE" არ არის კლინიკურ სწავლებაში ერთადერთი და უალტერნატივო მეთოდოლოგია და ცოცხალ ადამიანთან განვლილი პრაქტიკა უალტერნატივოა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:00 საათი.

დასრულების დრო: 15:45 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების 1 წლის ვადით შეზღუდვის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045) სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 1 წლის ვადით.

მეორე საკითხი: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი, ირინე ფხაკაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 6 ივნისს დაწესებულებაში საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, ავტორიზაციის პირობების და ავტორიზაციის დროს განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შეფასების თვალსაზრისით. ირინე ფხაკაძის თქმით, მოკლე პერიოდში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებულებაში რამდენიმე გარე შეფასება იქნა დაგეგმილი. ბოლო ვიზიტის შედეგად, დაწესებულებას განესაზღვრა ერთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა. რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების რაოდენობას პრაქტიკულ და სიმულაციურ გარემოში სწავლების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სემინარზე სტუდენტების რაოდენობა მცირედით იყო შემცირებული, 30 სტუდენტის ნაცვლად, 25 სტუდენტამდე, ვინაიდან, კლინიკურ საგნებში სწავლის შედეგების მისაღწევად საკონტაქტო მუშაობა, როგორც წესი, იგეგმებოდა სტუდენტების შედარებით მცირე რაოდენობის ჯგუფებში. შესაბამისად, რეკომენდებული იყო აღნიშნული რაოდენობის შემცირება 15 სტუდენტამდე. იგივე ეხებოდა სიმულაციურ გარემოში სწავლებას. ასევე, აღნიშნული ნორმების ცვლილებასთან თანხვედრაში უნდა მოვიდეს მარეგულირებელი დოკუმენტები, კერძოდ, "აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი" და „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის კალკულაცია 2024“. რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასურველი იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, პროგრამის კატალოგსა და მიღების პროცედურაში ატვირთულიყო საბუნებისმეტყველო საგნებში გამოცდის ჩატარების პირობები, თუ შესაბამის პერიოდში წარმოდგენილი აპლიკაციების რაოდენობა აღემატებოდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, გიორგი ცხვედიანი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული როგორც რეკომენდაცია, ისე რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუფიქსირებიათ.

საბჭოს	თავმჯდომარემ	გამოაცხადა	სათათბირო	შესვენება
დაწყების დრო: 16:09				
დასრულების დრო: 16:11				

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 19 აგვისტოს, 16:12 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლემკაშელი დავითი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
იოსელიანი თამარ



